# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— პარასკევი, 8 სექტემბერი 1900 წ. № 1233

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**

საუკეთესოდ
**მოწყობილი**
**მსწრაფლად მბეჭდავი**
**სტამბა**
**წიგნების გამომცემელ**
ქართველთა ამხანაგობისა
**იღებს ყოველგვარ**
**სასტამბო საქმეებს**
სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩ. მარტიროსოვის სახლში.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 სექტემბერი

**ტიან-ძინი.** აქ მოვიდა გენერალი ლესსელი. აქ არის ამ ჟამად სამი ბატალიონი ჯარი, ორი ესკადრონი და ერთი როტა პიონერთა. რუსის ადმირალი დომოჟიროვი დიდის ამბით მიეგება გენერალ ლესსელს. საპატიო რაზმად დაახვედრეს დრაგუნთა ორი ესკადრონი.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა სამინისტროში მოვიდნენ რუსეთისა და საფრანგეთის რწმუნებულნი და გამოაცხადეს, რომ არც რუსეთს და არც საფრანგეთს არ შეუცვლიათ გარდაწყვეტილება პეკინიდან ჯარების წაყვანის შესახებ; ამასთანავე რწმუნებულები დაეკითხნენ ამერიკის მთავრობას თუ რა გარდაწყვეტილებას დაადგენენ ამის შესახებ შტატები? მათ უპასუხეს, რომ გადაჭრილი გარდაწყვეტილების მოხდენისათვის ჯერ არ დამდგარა მოხერხებული დრო.

**პრეტორია.** გენერალმა პოლ-კერიუმ დაიპყრო კლიპლოიუიდენი.

**გააგა.** კრიუგერმა მიიღო ჰოლანდიის მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ მის ევროპაში წასაყვანად ჰოლანდიის სამხედრო გემი მივიდეს ლორენცო-მარკეზში.

**ლორენცო-მარკეზი.** კლიპლოიუდენისა და გეტჯოსპრუიტის შუა ნამდვილი ბრძოლა ატეხილა.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

„ტრანსვაალიდან კორესპონდენტი იწერება შემდეგს ბრძოლა თუმცა ისეთი შესამჩნევი არ მომხდარა ამ ბოლო დროს სამხრეთ აფრიკაში, მაინც უკანასკნელ სამხედრო მოქმედებათ იქონიეს, როგორცა სჩანს, დიდი გავლენა საქმის მიმდინარეობაზედ. გაწყობილი ბურების ჯარი, თითქმის, აღარ არსებობს. ის დაიყო წვრილ-წვრილ რაზმებად, რომელთაც დაიხიეს ჩრდილოეთისაკენ და დაუფარავად გაუშვეს ლორენცო-მარკეზში მიმავალი რკინის გზა. აქამდე მხოლოდ ამ რკინის გზით მოჰქონდათ ევროპიდან საკვები სურსათი. ჯერ კიდევ ადრე ბურებს აკლდებოდათ ხოლმე სამზადისი, ეხლა კი ისე ძლიერ შესწუხდნენ, რომ იძულებულნი იყვნენ გამოთ ტყვედ დაჭერილი ინგლისის ჯარის კაცები, რომელნიც ისევ მიემატნენ რობერტსის ჯარს. ბურების გენერლები თავისი პატარა რაზმებით კვლავ უწევენ წინააღმდეგობას თვით ბულერსაც, რომელიც «შესანიშნავის კაც-კაცობით» მთელი დივიზიებით მიიტანს ხოლმე იერიშს ორიოდე ბურისაგან დაჭერილ სიმაგრეებზედ. ერთის სიტყვით, ყველა ნიშნებიდან სჩანს, რომ მოახლოვებულია გადამწყვეტი მოქმედება სამხრეთ-აფრიკის ტრაგედიაში, რომელშიაც გულქვავი ინგლისელები უპირებენ დედამიწის ზურგიდან აღგავას თავის პატარა, მაგრამ კეთილ-შობილს მტერს.

ევროპიელების გაცნობამდე, ბურები იყვნენ ყველა ხალხებზედ მდიდარი და ბედნიერი ერი. იმათ ჰქონდათ ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო მათი მცირე მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მთელი ტრანსვაალი გაყოფილი იყო 11,045 ფერმად, რომელთაგან 3.663 ეკუთვნოდა მთავრობას (როგორც მარქაფა მამული, დანიშნული ხალხისათვის დასარიგებლად), დანარჩენნი შეადგენდნენ კერძო მფლობელთა საკუთრებას. ყოველი ფერმა თავისი სიდიდით ჰგვანდა მებატონის მამულს ზოგით რამდენიმე ათას დესეტინამდე. მაგრამ თან და თან ხალხის საკვირველი გამრავლების გამო (ბურები ირთავენ ცოლებს 18—20 წლისანი და ყველას ბევრი შვილები ჰყავს, ზოგს 18—20 ცოცხალი შვილიცა ჰყავს) ფერმები ძალიან დაპატარავდნენ. გარდა ამისა, ოქროს მადნების აღმოჩენის შემდეგ გამოუცდელმა ბურებმა, იჯარით გაცემის მაგიერ, დაუწყეს გაყიდვა თავის ოქროს მადნებიან ადგილებს. ასე რომ მარტო ერთი მარქსის (რუსის ური ყოფილა) ხელში არის ეხლა 300 ფერმაზედ მეტი. თუმცა ბურები საკმაო დიდ ფასს იღებდნენ, ზოგჯერ ათას თუმნობითაც, მაინც მომეტებულმა ნაწილმა მალე გაფლანგეს ფულები, რომელსაც არც შენახული იყვნენ ¿ არც მოხმარება იცოდნენ; ამ ბოლოს დროს იოჰანესბურგში მოიყარა თავი 3000-ზედ მეტმა უმამულო ხალხმა, რომელთაც არ იციან არავითარი ხელობა და ძალიან შეაწუხეს მთავრობა თხოვნებით, რომ რამე სამსახური მიეცათ მათთვის: ან პოლიციელისა, ან ცხენოსან დარაჯისა და სხვ. უმთავრესი სიმდიდრე ბურებისა იყო საქონელი: ხარები და ცხენები. ხარი ტრანსვაალში ღირს 300—400 მანეთამდე, ცხენი-200—300 მდე. უძრავი ქონებიდან ბურისათვის სახლზედ უფრო თითქმის ძვირფასი იყო ფურგონი, რომელიც ღირს 400 მანეთამდე. ომში რომ წავიდნენ, ბურებმა თან წაიღეს ფურგონები და წაიყვანეს ხარები და ცხენები, ე. ი. ლამის მთელი თავისი სიმდიდრე, და შინ დატოვეს ბედის-ანაბარა ცოლები და წვრილ-შვილი. თებერვალშივე ურიცხვდენ უფრო ღარიბ ოჯახებს საზრდოს მთავრობის სურსათის პატარა საწყობებიდან. თხოულობდნენ ყველანი, მდიდრები იღებდნენ ღარიბების მაგივრად—და ყველას ჰხვდებოდათ ნამცეცები.

ისე რომ გავსინჯოთ მოკლულთა რიცხვი ყველა ბრძოლაში მთელი ომიანობის დროს, არაა მაინც და მაინც დიდი, მაგრამ ყველა ბურების მოსახლეობის რიცხვთან შედარებით გასწორეთ საზარელია. მახსოვს, ერთჯერ ვაგონში ვიჯექი ერთ სუფთად ჩაცმულ, ჯერ ისევ ყმაწვილ, მაგრამ ავადმყოფ დედაკაცთან; მას დიდრონი სევდით სავსე თვალები ჰქონდა; მიდიოდა თავის ქმართან და ვაჟიშვილთან. სადგურზედ ფანჯარაში მოაწოდეს გაზეთი, მან ხელი სტაცა, გადაშალა აკანკალებული ხელით, უცებ დაიკივლა და იქვე დეეცა: მოკლულთა სიაში მისი ქმარიც ეწერა... შეიძლება, რომ ხვალ მისი 16 წლის ვაჟიშვილიც მოჰკლან, მას კი შესანახად დარჩება 8 წვრილი ბალღი, უსინათლო ბებერი დედა და სნეული მოხუცი მამა. და რამდენია ეხლა ამისთანა უბედური ცოლი, დედა და და ეხლა აქ, ამ სისხლითა და ცრემლითავსილ, დაღუპულ და გაპარტახებულ ქვეყანაში. ქმრები, მამები, პაპები, ვაჟიშვილები, შვილი-შვილები, ძმები, ახლო ნათესავები, ყველა ესენი—ზოგი მოკლულია, ზოგი დასახიჩრებული, ვინ იტანჯება ტყვედ წმიდა ელენეზედ, ვის, როგორც საქონელს გემის ძირში ჩასმულს, მიათრევენ ცეილონზედ, ზოგი კიდევ მშიერი სიცივეში დეხეტება კლდეში—ღრეში, დევნილი როგორც ცოფიანი მგელი. მთელი სიმდიდრე, რაც მინდორში მოსავალი ჰქონდათ, სულ დეეკარგათ ბურებს. ინგლისელებმა გამოუცხადეს ომი თვით 12 წლის ბალღებსაც; მშიერ-დედაკაცებს და სუსტ მცირე წლოვანთ ისინი სტოვებენ უსახლოდ, რადგანაც სწვავენ ფერმებს და დარჩენილ სარჩოსაც, ასე რომ ამ უპატრონოდ დატოვებულ ხალხს პირიდან უკანასკნელ ლუკმასაც კი ჰგლეჯენ.

თავის პროკლამაციაში რობერტსი ფერმებში დაბრუნების ნებას მხოლოდ იმ ბურებს აძლევს, ვისაც არ მიუღიათ მონაწილეობა პოლიტიკაში, რომელმაც ომი გამოიწვია. ამასთან, იმათაც ექნებათ უფლება თავისი უძრავი ქონების დასაკუთრებისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საკუთრება არ შექმნის საჭიროდ ბრიტანიის მთავრობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მფლობელთ მიეცემათ მამულის ღირებულება თანხმად ადგილობრივ (ტრანსვაალის) ფასებისა. რამდენი თვალთ-მაქცობა და ბრიყვული სასაცილობაა ამ სიტყვებში, რაც არ შეეფერება არც ერთს დიდ ეროვნებას! იმ სულ-მოკლე ბურთაგანნიც, რომელნიც უარსა ჰყოფენ საერთო საქმეში მონაწილეობის მიღებას, იმათგანნიც კი ევრავინ დააჯერებს ინგლისელებს თავის უდანაშაულობაში. გარდა ამისა

არავითარი მაზანდა, არავითარი ნიხრი არ არსებობს იმ მიწებისთვის და შენობებისათვის, სადაც მხოლოდ ბურებს შეუძლიათ ცხოვრება. ეს რობერტსის სიტყვები სულ უბრალო იქნებოდა, რომ მათ სხვა აზრი არა ჰქონდეთ. ოქროს მადნებიანი ადგილები ტრანსვაალში ჯერ ყველგან არ არის გამოკვლეული, მაგრამ ოქრო არის ბევრ ფერმებში, და აქამდე აქ ძალიან ხშირად მომხდარა შემდეგი ამბავი: დღეს ფერმის ფასია გროში, ხვალ იპოვეს ოქრო—უცებ ისა ღირს ათასი, ათი ათასი თუმანი და მილიონებიც ფერმა. «სება» გაიყიდა 10 მილიონ მანეთად. ამნაირად ეჭვი აღარ უნდა გქონდეს იმაზედ, თუ რომელ ფერმებს ჩამოართმევენ ბურებს მწვანილის ფასად. ამიტომ ინგლისის მთავარ-სარდლის პროკლამაცია უნდა იკითხებოდეს ასე: «ბურებო, მას აქეთ, რაც სამხედრო იღბალი გადმოვიდა ჩვენ მხარეს, თქვენ აღარ გიყურებთ როგორც მეომარ მოწინააღმდეგეს. არავის თქვენგანს არა აქვს ნება არც იარაღის დაჭერისა, არც თავის ფერმებზედ დაბრუნებისა. ეს ფერმები თქვენ აღარ გეკუთვნიან, რადგანაც ისინი ესაჭიროება ბრიტანიის მთავრობას. ლორდ კაჩინერისა და როდსის პროექტების განსახორციელებლად. თქვენ მარტოდ გაჰბედეთ ჩვენთან პირდაპირ შებრძოლება და პატიოსან ომში დიდი სირცხვილი აჭამეთ ჩვენ ჯარს, მაგრამ ჩვენ გაჯობეთ თქვენ სიმრავლით და ეხლა თუ თქვენ, ღონე გამოლეულთ და ძალა მიხდილთ, მოინდომებთ გადაარჩინოთ თქვენი ოჯახობანი შიმშილსა და გლახაკობას, იცოდეთ, უბედურ გუგენოტთა უბედურნო შთამომავალნო, რომ თქვენთვის დამზადებულია ბართლომეს ღამე. თუ იმედი გაქვთ ევროპის შველისა, უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენც გვყავს ლონდონში გამილტონები, რომელთაც ხმა არ გაუშრებათ იმ უნამუსობისაგანაც, რომლითაც ისინი საქვეყნოდ ხმა მაღლა აცხადებენ, რომ ინგლისს სულაც არა აქვს სურვილი მეეპყრას ტრანსვაალის ხალხს ისე, როგორც იარაღით დაპყრობილ ერსაო.»

«ტაიმს» ში დაბეჭდილია რუსეთის საწინააღმდეგო წერილები. პეკინის კორესპონდენტი ამ გაზეთისა სხვათა შორის იტყობინება, რომ რუსები ყაზარმებს აშენებენ პეკინშიო; აქედან სჩანს, რომ ისინი დიდისხნით აპირებენ იქ დარჩენასაო. ადარებენ—რა ამ გარემოებასა და წინადადებას პეკინიდან ჯარების გაყვანის შესახებ, ინგლისური გაზეთები სასტიკად იგდებენ რუსეთის პოლიტიკას. გაზეთები ამბობენ, რომ რუსეთი ძირს უთხრის გერმანიას, რის გამოც გერმანიისთვის საჭიროა დაუკავშირდეს ინგლისს რუსეთის საწინააღმდეგოდ. ზოგიერთი ინგლისელი გაზეთი-კი იმასაც ამბობს, ვითომც რუსეთისა და გერმანიას კავშირი შეუკრავთ ჩინეთის გაძარცვისათვის. როგორც ეტყობა, ინგლისი სრულიად მარტოა დარჩენილი და ჩინეთის კითხვაში იძულებულია კუდში მისდევდეს სხვა სახელმწიფოებს.

როგორც ისმის, ჩინეთის კითხვაში სახელმწიფონი შეთანხმდნენ სამ მუხლში: 1) უთუოდ უნდა იქმნას დაცული ჩინეთის ერთობა და დამოუკიდებლობა; 2) ჩინეთის მთავრობამ გარანტია უნდა მისცეს იმის შესახებ, რომ უეჭველად საერთო დადგენილება მოკავშირეთა აღსრულებული უნდა იქმნას. იტალიამ თავის მხრით წინადადება მისცა მოკავშირეთ ჯარები წაიყვანონ ჩინეთიდან მხოლოდ მაშინ, როდესაც შეთანხმების პირობანი ხელმოწერილი და დამტკიცებული იქნებიან. ალბათ, რუსეთი, საფრანგეთი, ამერიკის შტატები და ინგლისიც ამის თანახმანი იქნებიან. გარანტიათა შორის, რომელიც მოსთხოვეს ჩინეთს, უნდა ჩაირიცხოს ისიც, რომ პეჩილიის ყურეში ევროპის ფლოტი იდგეს და ტაკუს სიმაგრეები დაქცეულ იქმნან. 3) უნდა დასჯილ იქმნან პრინცი ტუანი და სხვა დამნაშავენი აჯანყებისა; ზოგი იმ აზრისაა, რომ დასჯის მაგიერ ფული უნდა გადახდეს ჩინეთს.

# ახალი ამბავი

— გუშინ, 7 ენკენისთვეს, დიდის მთავრის ნიკოლოოზ მიხეილის ძის, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა უფროსების, საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლების, ჯარების და აუარებელის ხალხის თანადასწრებით, დაკრძალეს დიდუბის ეკკლესიის გალავანში ახლად გარდაცვალებულის ჩვენის საზოგადო მოღვაწის და სახელოვან მეომარის გენ.-ლეიტ. ჯ. ქ. **მამაცაშვილის** გვამი. ცხედარს წირვა მოასმენინეს ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო კირიონი. წირვის დროს გალობდა ორი ხორო—ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეთა და სამხედრო. წირვის და პანაშვიდის შემდეგ კუბო გამოასვენეს ეკკლესიიდან გენერლებმა და სხვა წარჩინებულმა პირებმა. შემდეგ კუბო დაასვენეს ზარბაზნის ლაფეტზე. კუბო და ბალდახინი შემკული იყო გვირგვინებით, რომელთა შორისაც ჩვენ შევნიშნეთ გვირგვინები წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან—წარწერით: „ნამდვილს წევრს საზოგადოებისას“, განჯელი ქართველებისაგან—წარწერით „პატიოსანს მოღვაწეს განჯელ ქართველებისაგან“, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან და სხვა. საფლავზე სიტყვა წარმოსთქვეს ი. გ. რატიშვილმა, თავ. წერეთელმა და თავ. დ. ნიჟარაძემ, რომელთაც მშვენივრად დაახასიათეს განსვენებულის მოღვაწეობა თვისი სამშობლო ქვეყნის საკეთილ დღეოდ.

— გამოცხადდაა მთავრობის განკარგულება **სახალხო მასწავლებელთა საპენსიო კასსის** წესდების დამტკიცების შესახებ. კასსის მოქმედება დაიწყება მომავალ წლის 1-ლ იანვრიდან. წესდება დაბეჭდილია „მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის“ მე-102 №-ში.

— ტფილისის გუბერნიის მმართველს ი. ნ. **სვეჩინს** დღეს, 8 სექტემბერს, მოელიან ტფილისში.

— ამ დღეებში დაიწყებენ მუშაობას ტფილისის გუბერნიის სამაზრო საბეგრო ყრილობანი განსახილველად გადასახადთა ინსპექტორების მოხსენებათა **ადგილ-მამულების დაფასების შესახებ** ადგილ-მამულის გადასახადის განაწილებისათვის. ყრილობებმა 15 ენკენისთვემდე უნდა დაასრულონ თავისი მუშაობა და წარუდგინონ თავისი მოსაზრებანი ტფილისის სახაზინო პალატას.

— „ნოვ. ობოზრ.“-ს გაუგონია, რომ წმ. დავითზე **ფუნიკულერის** გაყვანის კონცესია ბ. რობის ბელგიის უსახელო საზოგადოებისათვის მიუყიდნია.

— „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას დაუნიშნავს მასწავლებლებად: სენაკის სკოლაში—ბ ნი მატარაძე და გომარეთისაში—ბ-ნი **გორდელაძე**.

— **ტყვარჩელის** (სოხუმის ოლქშია) ქვა-ნახშირის მადნებში დიდი მზადებაა ამ ჟამად მუშაობის დაწყებისათვის. ამ დღეებში იქ მოელიან სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს.

— **სიღნაღის მაზრიდან** იწერებიან, რომ ზოგიერთ ადგილას პურისა და ქერის მოსავალი კარგია; ქიზიყში და უკანამხარეს დესეტინაზე 70—100 ფუთი მოუგროვებიათ. რადგანაც პურის გალეწვა მეტად დაგვიანდა, ამიტომ ფასებმა აიწია ექვს აბაზამდე ფუთზე. ქერის ფასი კი დაეცა ორ აბაზამდე, სიმინდის მოსავალი კარგია; ფეტვიც მშვენიერია. ვენახები დაზარალდა ვაზის ავადმყოფობისა გამო, გარდა იმათისა, რომელთაც დროზე უწამლეს. თუთუნი ყველგან ბევრი და კარგი მოვიდა. აბრეშუმისაგან წელს ხეირს არ გამოელიან.

— **სოხუმის ოლქიც** შეუწუხებია ამ ზაფხულის წვიმებსა და ავდრებს. სიმინდის მოსავალი ნაკლებია, ყურძენი კი არა მწიფდება; ნიგოზი სრულიად არ მოსულა წელს. სოხუმის ოლქის სხვა-და-სხვა ადგილას გახშირდა მუცელა.

— **თელავის საქალაქო თვითმმართველობა** შუამდგომლობს ტფილისის გუბერნატორის წინაშე: 1) ნება მიეცეს თელავს დააარსოს ქსენონი, 2) ნება მიეცეს ქალაქს აიღოს თავის საყასბოზე მსხვილფეხა საქონლის დაკვლაში 50 კ., ღორისა და ხბოს დაკვლაში—20 კ., თხის, ცხვრის, ბატკნის და ერთი წლის ნაკლების ხბოს დაკვლაში—10 კ., გოჭის და პატარა ბატკნის—5 კაპ. და 3) მიეცეს ნება თელავს დააარსოს საქალაქო აფთიაქი.

— **ტფილისის საქალაქო დასაფასებელ გადასახადის ნედოიმკა** ყველაზე მეტი დარჩენილა საინჟინერო უწყებაზე და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოზე. სულ მათზე ირიცხება 118,271 მან. 9 კაპ. ნედოიმკა და 133,787 მ. 73 კ. ჯარიმა გადასახადის დროზე შეუტანლობის გამო. ქალაქის გამგეობას დაუდგენია მიჰმართოს ტფილისის გუბერნატორს თხოვნით, რომ დახმარება აღმოუჩინოს ქალაქს ამ ფულის გადახდევინების საქმეში.

— **ავლაბრისა და ნავთლუღის** მცხოვრებთ მიუმართავთ ქალაქის გამგეობისათვის თხოვნით—დააჩქარებინეთ, რომ უსახელო საზოგადოებამ რაც შეიძლება მალე გააკეთოს ტრამვაი ავლაბარზე ნავთლუღამდეო.

— უწმ. სინოდის დადგენილების თანახმად, **ტფილისის საქალებო საეპარქიო სასწავლებელი** 1-ლ სექტემბრიდან გადაკეთდა სამ კლასიან სასწავლებლიდან ექვს კლასიანად და სახელად ეწოდა მას „იოანნიკის“ სასწავლებელი, მიტროპოლიტის იოანნიკის სახსოვრად.

— **კავკასიის მომავალ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის** პროგრამის შესამუშავებლად, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მოწონების თანახმად, დანიშნულ იქმნენ კიდევ შემდეგნი: ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენლებად იმავე

გუბერნიის მემამულე თ. პეტრე გ. წულუკიძე; ქუთაისის სამეურნეო სკოლის გამგე ბ-ნი ლიუბინსკი; მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის წარმომადგენლად კავკასიის სასოფლო-მეურნეობის ინსპექტორი ბ-ნი ვ. ი. გეევსკი; ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან მე-2 გიმნაზიის ინსპექტორი ბ-ნი ი. ე. გამყრელიძე, თ. ვ. ს. მიქელაძე, ა. მ. ჰყონია და იოსებ ალექ. გუნცაძე; პირუტყვთა მომშენებელ საიმპერატორო საზოგადოების ტფილისის განყოფილებისაგან ნ. გ. მაკიევსკი და ნ. ი. მარქაროვი; საინჟენერო უწყებისაგან—სამხედრო ინჟენერი პოლკოვნიკი გერასიმოვი; კავკასიის სააქციზო გამგეობისაგან უფროსი რევიზორი ი. ა. ბერნატოვიჩი და ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისაგან—ა. ა. იოანისიანი. („ივერ.“)

✦ 1 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნება სრულიად რუსეთის ცხენების გამოფენა.

✦ 12 და 26 ენკენისთვეს და 10 ოქტომბერს პარიზის გამოფენაზე მოხდება **კონკურსი ხილეულობისა**. კონკურსში მონაწილეობას ღებულობს რუსეთის მიწად-მოქმედების დეპარტამენტი და 17 მემამულე, მათ შორის რამდენიმე კავკასიელიც.

✦ 1 აგვისტოს რუსეთში, ქალაქ კოლოგრივოვში, გარდაცვლილა ჩვენი თანამემამულე **დიმიტრი ქაიხოსროს ძე აბაშიძე**, ადგილობრივ ერობის უძველესი წევრი. თავ. აბაშიძე იმპერატორის ალექსანდრე II-ის დროს მსახურებდა კონვოიში და შემდეგ კოლოგრივოვში დასახლებულა.

✦ ოჩემჩირიდან გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ს სწერენ: „კოდორის ნაწილის მცხოვრებთ შემდეგ საშუალებისათვის მიუმართავთ ცხენებისა და სხვა პირუტყვის **ქურდების წინააღმდეგ**. ნაწილის ყველა 11 საზოგადოებას, თავ. ხ. ანჩაბაძის თაოსნობით, გარდაუწყვეტია საერთო ყრილობაზე დაიფიცოს ყველა მამა-კაცი წმ. გიორგის ხატზე, რომ ვინც დაიფიცებს არც მოიპარავს თვითონ, არც მიიღებს სახლში ქურდებსა და გადავარდნილთ. გარდაწყვეტილების ასრულებას თვალ-ყური უნდა ადევნონ თავად მარშანიამ და ძიაფშ-იპამ. ეს დაფიცება მოხდა უკვე ერთი თვეა, და მას შემდეგ ქურდობა აღარ მომხდარა. ამ დღეებში სოფელ ცხენის-წყალში მოვიდა ციმბირიდან გამოქცეული გ. და ნათესავებმა დაიჭირეს და წარუდგინეს მთავრობას“.

✦ ამ ჟამად მოსკოვში იბეჭდება და მალე გამოვა ერთ წიგნად ჩვენი თანამემამულის თავ. სუმბათაშვილის **დრამები** და კომედიები.

✦ ტფილისში ამ ჟამად **დიდძალი ჯარია** შეგროვილი საერთო ბანაკში. „კავკაზის“ სიტყვით, 14 ენკენისთვეს მთელი ეს ჯარი ორ ნაწილად გაიყოფა და დაიწყება ალლუმი, რომელიც 16 ენკენისთვეს საერთო სანიმუშო ბრძოლით გათავდება. 17 ენკენისთვიდან ჯარები წავლენ ტფილისიდან თავიანთ მუდმივ სადგომებში.

✦ სექტემბერს დანიშნული **სახალხო სეირნობა მუშტაიდში** ნადეჟდინის საბავშვო თავ-შესაფარის სასარგებლოდ არ მოხერხდა და გადაიდვა 10 სექტემბრისათვის.

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ ტფილისის ვიცე-გუბერნატორი **სტეფანოვიჩი** სამსახურიდან დაუთხოვნიათ და სამინისტროში ჩაურიცხავთ.

✦ გზათა სამინისტროში აღძრულია კითხვა შესახებ იმისა, თუ რა წესითა და რიგით შეიძლება ნება-რთვა მიეცეთ კერძო პირთ **საკუთარი ვაგონები** იქონიონ რკინის გზებზე მგზავრთათვის მისაქირავებლად და თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

✦ როგორც ტფილისში მოსულ ცნობებიდანა სჩანს, 1-ლ ენკენისთვიდან **აცივებულა** მთელს ამიერ-კავკასიაში. ბევრგან კარგა დიდი თოვლიც მოსულა. ასე ადრე არასოდეს ჩვენში ასეთი სიცივე არ ყოფილა.

✦ მოგვივიდა მეხუთე ნომერი მურიეს **ფრანგულის ჟურნალისა** „Le Caucase Illustré“-სი, რომელშიაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია: ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“-ს დასასრული, ეტნოგრაფიული შენიშვნები რაჭველებისა და ახალციხელ სომხების შესახებ, საბა-სულხან ორბელიანის ამბავი ბაღდადის ხალიფისა და საწყალ ზანგების შესახებ, ქალაქ განჯის აღწერა და სხვა.

✦ მოგვივიდა მეცხრე წიგნი **რუსულის ჟურნალის** „Кавказскій Вѣстникъ“-ისა.

## საღამოს დეპეშები

**7 სექტემბერი**

**ბერლინი.** დაბეჯითებით ამბობენ, ვითომ ბიულოვის ცირკულიარულ დეპეშის ნაწილიდან, რომელშიაც ნათქვამია—ძნელია აღმოჩენა ჩინეთში მომხდარ არეულობის უმთავრეს დამნაშავეთაო, აშკარად სჩანს, რომ ჩინეთს ძალას არ დაატანენ ხელთ მისცენ უცხოელთ ქვრივი დედოფალი.

**ამსტერდამი.** ბურების დეპუტაციამ გამოაქვეყნა გაზეთებში განცხადება, რომელშიაც წინააღმდეგობას უწევს რობერტსის მიერ გამოცემულ პროკლამაციაში ნათქვამს, რომ ვითომც კრიუგერმა თავისი საზღვარ-გარეთ წასვლით ფორმალურად დაანება თავი პრეზიდენტობის თანამდებობას და ბედის ანაბარა დასტოვა ბურებიო. კრიუგერის წასვლა—ჰხსნის დეპუტაცია,—მოხდა აღმასრულებელი რჩევის და 1899 წლის საერო კრების დადგენილობათა თანახმად.

**პეტერბურგის ბირჟა 5 სექტემბერს**

| | მყიდველნი | გაყიდული | გამყიდველნი |
|---|---|---|---|
| | მ ა | ნ ა | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . . | — | — | 96⅛ |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | — | 99½ |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 97¼ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 324 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 281¼ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 210½ |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 88¼ | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | — | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

**დრ. რედ. ალ. ჯაბადარი**

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

ხორცი ძროხისა . 1 გ. 8½ კ.
სუკი . . . . . . » — 15 კ.
» ცხვრისა . . . » — 8½ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» კამეჩისა » » » — 5 კ.
» ღორის ბარკალი სალორეთი . 1 » —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | |
|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. 1 გ. 5 კ. |
| » » | II | » » » 3½ » |
| » » | III | » » » 3 » |
| იგივე თორნისა | I | » » » 5 « |
| » » | II | » » » 4 » |
| » » | III | » » » 3½ » |
| ლავაში ჭკ. მამ. | I | » » » 6 » |
| » » | II | » » » 4 « |


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მდგომარე 1900 წლის 9 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე,

## დანიშნულია საჯარო ვაჭრობა,

რომლითაც გაიცემა იჯარით სამუშაო მე-2 გუნიბის ქუჩის მოკირწყლისათვის, 292 ოთხკუთხი საჟენი, 1022 მანათისა და 80 კაპ.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—2)

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის და გიორგიევის ქუჩის კუთხეში, იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

**ისტორია, გეოგრაფია და მოგზაურობა**

ალხაზიშვილი ილ. ზუნება და ცხოვრება. 60 კ.
ალნიაშვილი ვლ. სპარსეთი და იქაური ქართველები. 1 მ.
ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველის ტომის დასაწყისზე. 15 კ.
გოგებაშვილი ი. ასპინძის ომი 10 კ.
— თავდადებულნი ქართველნი, სურათებით. 10 კ.
ვახუშტი ბატონიშვილი. გეოგრაფია I წ. სამცხე 25 კ.
— იგ. II წ. ქართლი 25 კ.
ვოდოვოზოვი ე. ინგლისელები. 40 კ.
— იტალიელები. 30 კ.
— გერმანელები. 30 კ.
თაყაიშვილი ე. სამი ისტორიული ქრონიკა. 1 მ.
იოსელიანი პ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1 მ.
კუდრიავსკი დ. როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად. 25 კ.
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. 3 მ.

— იგივე წიგნი II. 3 მ.
ურბნელი ნ. მეგლის დებს მეფე გიორგი ბრწყინვალისა. 25 კ.
— გიორგი ბრწყინვალე. 20 კ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი. 40 კ.
— იგ. წიგნი მეორე. 1 მ.
— იგ. „ მესამე. 40 კ.
ჭიჭინაძე ზ. მეფე ერეკლეს და აღა-მამადხანის ომი. 10 კ.
— მეფე ირაკლის გმირები. 15 კ.
ხახანაშვილი ალ. ბატონ-ყმობა საქართველოში. 50 კ.
— გუჯრები. 50 კ.

—

ბენაშვილი ან. მოკლე ქართული გრამატიკა, ყდით. 25 კ.
ყიფიანი დ. ახალი ქართული გრამატიკა. 1 მ. 20 კ.

—

ორბელიანი საბა-სულხან. ქართული ლექსიკონი. 3 მან.
სახოკია თ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. 20 კ.

—

ყიფიანი ვ. ალგებრა. 1 მ. 20 კ.
ჯაჯანაშვილი რ. კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა 25 კ.

სამეცნიერო წიგნები.

ბ. ს. შრომა და კაპიტალი. 20 კ.
გოლოვინი ს. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე. 10 კ.
გოგებაშვილი ი. მოსავლის მცველნი, სურათებით. 20 კ.
დედამიწის მოყვანილობა—10 კ.
ერისთავი დ. ხოლერა და მისი ასაცდენი დარიგებანი. 10 კ.
იოსელიანი გ. ლოღიკა. 15 კ.
ივანოვი ალ. ცა და დედამიწა. 20 კ.
ლენტის მსგავსი ჭიები 5 კ.
კომბი. ბავშვების მოვლა 40 კ.
მირიანაშვილი ალ. ჭვარი და მისი მნიშვნელობა. 15 კ.
მოწამვლის ჭიგიენა 3 კ.
მასსე. ლუკმა პურის ამბავი 60 კ.
რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით. 50 კ.
როსკო. პროფესორი. ქიმია 40 კ.
როგორ საზრდობს მცენარე, გადმოკეთებული. 25 კ.
სპერანსკი. ცუდი სენი, ანუ ათაშანგი. 5 კ.
ხუსკივაძე თ. შვილების აღზრდა, პედაგოგიური წერილები. 20 კ.

—

დარეჯანაშვილი არ. საბოსტნე მცენარეების მოყვანა. 20 კ.
ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება. 60 კ.

სახელმძღვანელო წიგნები:

ალნიაშვილი ვლ. «ბანი», ხალხური ლექსები. 10 კ.
— «განი», წვრილი ამბები. 10 კ.
— «დონი», წვრილი ამბები. 10 კ.
— «ვინი», პაწაწა მინერალოგია 15 კ.
— «ზენი», პაწაწა ბოტანიკა. 20
— «თანი», პაწაწა ზოოლოგია. 20 კ.
გოგებაშვილი ი. დედა-ენა ყდ. 40 კ.
— ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, ყდით. 80 კ.
— ხომლი, ლექსთა კრება 30 კ.
— Русское слово ნაწ. 1 ყდ. 40 კ.
— Русское слово ნაწ. II ყდ. 50 კ.
გაბიჩვაძე ვ. დედანი. 20 კ.
მდივანოვი ს. თვით მასწავლებელი ქართულისა და რუსულის ენისა. 50 კ.
ნასიძემ. Учебникъ грузинскаго языка для русскихъ. 50 კ.
ქუთათელაძე არ. წყარო 40 კ.
ჯაჯანაშვილი რ. მეგობარი 35 კ.

საყმაწვილო წიგნები:

ავენარიუსი. ბანჯვლიანი ფუტკრის ამბავი. 15 კ.
ასათიანი თ. საყმაწვილო ამბები. 10 კ.
ანდერსენი. ზღაპრები 1 წიგნი. 10 კ.
— გედები. 10 კ.
ბარნოვი. საკვირველი ხე 3 კ.
გაბაშვილი ეკ. საყმაწვილო მოთხრობები. 30 კ.
გოგებაშვილი ი. ხატის მიზეზი. 5 კ.
თუმანიშვილი ან. ხატური, მოთხრობა სურათებით. 10 კ.
ტატიშვილი გრ. ხუმარა სპილოები, სურათებით. 10 კ.
აკაკი. საყმაწვილო ამბები, 40 კ.
ცისკ. თარგ. 5 კ.
ჩხუბი ერთი კვერცხისათვის. 3 კ.

—

სვანური ზღაპრები. 30 კ.

კრიტიკა, ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფია:

თ. ი. ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა. 20 კ.
მკითხველის შენიშვნები. ჩატეხილი ხიდი «ოთარაანთ» ქვრივის ი. ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ. 15 კ.
ნაზოლარა ფ. «ივერია» და «მეველე».
საბერძნეთის ბრძენი დიოგენი 10 კ.
სტეფენსონი—რკინის გზის გამომგონელი. 5 კ.
სახსოვრად ქართულ თეატრის 50 წ. არსებობის დღესასწაულისა. 20 კ.
ქართველი მკითხველი. საუცხოვო ნიმუშები ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული ნაწარმოებისა. 15 კ.
ჭიჭინაძე ზ. ქართული მწერლობა მე XII საუკუნეში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე-XIII-დ XVI საუკუნოებში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე-XII საუკუნეში. 20 კ.
— შოთა რუსთაველი. 30 კ.
— პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში. 20 კ.
— აკაკი წერეთელი. 15 კ.
— ილ. ჭავჭავაძე. 20 კ.
— გ. ორბელიანი. 20 კ.
— ტულუკაანთ დავითა და უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღ. 25 კ.
ყიფიანი ნ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება 50 კ.

პუბლიცისტიკა:

გოგებაშვილი ი. მირიანდი უკუღმართობა. 20 კ.
ისარლოვი ლ. კათოლიკენი საქართველოში. 15 კ.
იზაშვილი პ. ქართველი კათოლიკენი. 10 კ.
კარლ-კაუტსკი. ჩვენი დროის ეროვნება. 10 კ.
მამაცაშვილი ქრ. დრო არის საქმეს შეუდგეთ. 20 კ.
ჩვენ ქალებს. ქ-ნ შტარის წერილები. 20 კ.

კაზმული სიტყვიერება:

აბაშიძე ვ. ტასიკო, დრამატიული ეტიუდი. 10 კ.
ბარათაშვილი ნ. ლექსები 40 კ.
ბურჟე პოლ. ცოდვა სიყვარულისა. 70 კ.
გაბაშვილი ეკატ. სურათები გლეხელ-კაცის ცხოვრებიდან 10 კ.
გუნია ვ. მარინე. ისტ. მოთხრობა გადმოკ. 30 კ.
გურიელი მამია. თხზულებანი (ლექსები და პოემები). 1 მ.
გელოვანი ქ. ლექსები. 15 კ.
გულისაშვილი ი. ორი პიესა. 50 კ.
გეტე. რეინეკე მელა, სურათებით. 50 კ.
გვარამაძე მღ. ივ. წამება მიხეილ გობრონისა, ლექსად. 10 კ.
დილარიანი. 25 კ.
დუტუ მეგრელი. ცრემლები 25 კ.
დე-ამიჩი. დედა-შვილის თავ-გადასავალი 15 კ.
ეჟი. განთიადი. 1 მ.
ერვიე პოლ. ბრჭყალები, დრამა. 30 კ.
ერისთავი გ. თხზულებანი, სურათით 1 მ. 60 კ.
ევდოშვილი ი. ლექსები და პოემები. 25 კ.
ერკმან-შატრიანი. გლეხი კაცის ისტორია I ნაწ. 60 კ., II ნაწ. 60 კ., III და IV 1 მ. 20 კ. კარგ ქაღალდზე თითო ნაწ. 15 კ. ემატება.
ველისციხელი. ნ. საგულისხმიერო აზრები შილლერიდან. 5 კ.
— საგულისხმიერო აზრები ვეფხის-ტყაოსნიდან. 10 კ.
იანქოშვილი მ. ციცინათელა. 25 კ.
ივანე ბატონიშვილი. კალმასობა. 1 მ.
იკოთელი ილ. სამნი ბრძენნი. 20 კ.
იოსელიანი გ. ვეფხის-ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყმაწვილებისათვის, სურათებით. 20 კ.
კარიჭაშვილი დ. სამი მსხვერპლი, მოთხრობა. 30 კ.
კეთილი მაღლი. 10 კ.
ლერმონტოვი მ. მწირი, პოემა 10 კ.
— ორში, პოემა. 10 კ.
— დემონი. 10 კ.
მაჩხანელი დ. მწური სიტყვა. 25 კ.
ნინოშვილი ე. პარტახი. 20 კ.
ნადირაძე ილ. ზაქარია კეთილაძე. 10 კ.
ნიკიტინი ალ. კრებული მოთხრობებისა. 15 კ.
ორბელიანი ვ. ლექსები. 60 კ.
პატაპენკო ი. ნამდვილი სამსახური, მოთხრობა. 40 კ.
ქანა დარკი. მოთხრობა. 5 კ.
რამას განდევნა, პოემიდან «რამიანი», გერმანულიდან 40 კ.
რუბაკინი. ორი ეტიუდი, «ქალაქის მაშიებელნი» და «პირის-პირ». 20 კ.
სოლომონ მსაჯული. ვედრება ირაკლი მეორისა. 5 კ.
ტოლსტოი ლ. სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ სუფევს 5.
ფურცელაძე ან. ლექსები და პოემები. 40.
— მარაბდა, პოემა. 20 კ.
— წყალობა, პოემა. 20 კ.
— მაცი ხვიტია, რომანი. 40 კ.
— ავაზაკნი. 30 კ.
— სამი პოემა. 40 კ.
— შოთა და მისი ცოლი 10 კ.
ქართველ ქალთა ნათარგმნი მოთხრობები I წ. 40.
ქალები, თ. სახოკიასი. 20 კ.
ყაზბეგი იური. სამშობლოსათვის თავდადება. 5 კ.
შექსპირი. ოტელო. 50 კ.
— მაკბეტი. 40 კ.
— რიჩარდ მესამე. 40 კ.
— იულიოს კეისარი. 30 კ.
შილლერი. ვილჰელმ ტელი. 15 კ.
ცახელი. ზარნაშო, პოემა. 15 კ.
— გურგენ რაინდი, პოემა 30 კ.
ცშოკე. ოქროს მოყვარულები. 15 კ.
აკაკი. სამ-გვარი სიყვარული. 30 კ.
— ანდრია პირველი წოდებული პოემა. 5 კ.
— თორნიკე ერისთავი პოემა. 1 მ.
წერეთელი გ. ლომ-კაცი პოემა. 60 კ.
წითლიძე ა. ძმა ძმის მტერი. 10 კ.
წულაძე ლ. ზანგის სამკვიდრო. 10 კ.
ჭონქაძე დ. სურამის ციხე 25 კ.
ჭიჭინაძე ზ. ჭონის შეგირდი. 7 კ.
ხონელი მ. ამირან-დარეჯანიანი. 1 მ.
ჯიაკომეტი. ივდითი, ტრაგედია 30 კ.

—

ქორიძე ფ. სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის. 60 კ.
რატილი ი. ალილო, შიგნით კახეთის კილო ნოტებზე გადაღებული. 50 კ.

—

კეფიმერტე. ქართულად თარგ. 1 მ.
მირაქოვი. ნაპერწკალი, ნაწყვეტები და მოსწრებული სიტყვები. 20 კ.
დადიანი ნ. საამდროვო გამოცანები 15 კ.
ტარუაშვილი გოტიკური ანბანი 5 კ.

სურათები

თოიძე მ. ერისთავი რაფიელ. 20 კ.
— იგივე. კარგს ქაღალდზე 30 კ.
— ნინოშვილი ეგნატე. 15 კ.
— იგივე. კარგ. ქაღალდზე. 25 კ.
— რუსთაველი შოთა. 20 კ.
— ჭავჭავაძე ილია. 25 კ.
— მეფე ერეკლე. 20 კ.
— იგ. კარგ ქაღალდზე. 25 კ.

პროვინციაში მცხოვრებთ წიგნები ფას დადებით შეუძლიანთ გაიწერონ, მხოლოდ წიგნების ფასის 25% (პროცენტი) წინათვე უნდა გამოგზავნონ.

წიგნების დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

გამომც. ვ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Сентября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.